საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა

რეფორმის დაუსრულებელი მცდელობები და წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოება



გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ნონა ქურდოვანიძე**
რედაქტორი: **ხათუნა ყვირალაშვილი**
დიზაინი: **ნინო გაგუა**

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

შესავალი

დღეისთვის საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი მძიმე მემკვიდრეობაა, რომლის გამოყენებითაც ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა ხდება. 1984 წელს მიღებული კოდექსი ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს, ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა, აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ არსებობს; არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს; მოსამართლეს არ ავალდებულებს, იხელმძღვანელოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. საქმის განხილვის და სანქციის გამოყენების შემჭიდროებული პროცედურები ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან წარმომადგენლობას. შესაბამისად, კოდექსის არსებული ფორმით მოქმედება ყოველდღიურად იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში - საია) მრავალი წელია მხარს უჭერს და მოითხოვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმას. წლების განმავლობაში კოდექსის მოქმედებით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთი შემთხვევა დოკუმენტირებულია საიას, სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სახალხო დამცველის ანგარიშებში.[1] საპასუხოდ, სახელმწიფო აღიარებს რეფორმის საჭიროებას, თუმცა დღემდე ამ კოდექსის შეცვლის მხოლოდ წარუმატებელი მცდელობები გვახსოვს. სახელმწიფო, მართალია, დეკლარაციულ დონეზე ინარჩუნებს რეფორმის გატარების მზაობას, თუმცა მის შესაცვლელად ქმედით ნაბიჯებს არ დგამს.

რეფორმის განხორციელების ბოლო მცდელობები

ბოლო წლებში სახელმწიფომ ორჯერ წამოიწყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმაზე მუშაობა, თუმცა ორივე შემთხვევაში პროცესები ისე შეჩერდა, შემუშავებული პროექტები პარლამენტში არ წარდგენილა.

[1] მაგ. ა. საიას ანგარიში „დაკარგული თვალის მიღმა (20-21 ივნისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება)“, ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3ainrPo. [ბოლო წვდომა: 05.02.2021]. ბ. საიასა და „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის“ (EHRAC) მიერ მინისტრთა კომიტეტში წარდგენილი ერთობლივი მოსაზრებები ე.წ. ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე, ხელმისაწვდომია - https://bit.ly/2PtXPm8 [ბოლო წვდომა: 05.02.2021]. გ. საიასა და EMC-ის ერთობლივი ანგარიში - „12 მაისი - მასშტაბური საპოლიციო ოპერაცია თბილისის კლუბებში“, ხელმისაწვდომია - https://bit.ly/2Qhr80h [ბოლო წვდომა: 05.02.2021]. დ. საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიში 2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ; ე. საიას ანგარიში - „სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი“, ხელმისაწვდომია - https://gyla.ge/files/news/2008/geo.pdf [ბოლო წვდომა: 05.02.2021]. ვ. Assessment and recommendations by Thomas Hammarberg, pg. 11-12; 2013. ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3oMT1dj [ბოლო წვდომა: 05.02.2021]. ზ. Human Rights Watch, Administrative Error: Georgia's Flawed System of Administrative Justice, January 2013, ხელმისაწვდომია - https://bit.ly/3jmv4Z9 [ბოლო წვდომა: 05.02.2021]. თ. საიას ანგარიში „„26 მაისი“, 2011. ხელმისაწვდომია - https://bit.ly/2N7SoJU [ბოლო წვდომა: 05.02.2021].

სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი

2014 წლის 3 ნოემბრის #1981 განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ შექმნა სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელმაც რეფორმის პროექტი შეიმუშავა.

სამთავრობო კომისიის მიერ შემუშავებული რეფორმის მოდელის თანახმად:

- სისხლის სამართლის კოდექსს ემატება დანაშაულის ახალი კატეგორია - „მსუბუქი დანაშაული“. ამ კატეგორიაში ექცევა ის გადაცდომები, რომლებიც, სისხლისსამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან გადავა სისხლის სამართლის კოდექსში (მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა). ამასთან, მსუბუქი დანაშაულის ჩადენა არ გამოიწვევს პირის ნასამართლობას;

- მსუბუქი დანაშაულის კატეგორიაში მოქცეულ დანაშაულებზე ვრცელდება სისხლის სამართლებრივი პროცესის წესები (სისხლის სამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურატურა), რაც უზრუნველყოფს მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს და პროცესუალურ გარანტიებს;

- იმ დანაშაულებზე, რომლებიც რჩება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ადმინისტრაციულ წარმოებას, საგნობრივი იურისდიქციის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ. მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ვრცელდება სრული სასამართლო კონტროლი სამართლიანი განხილვის სტანდარტების მიხედვით;

- ადმინისტრაციულ გადაცდომებზე უქმდება ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორ სანქციის სახე;

- უქმდება ადმინისტრაციული დაკავების ინსტიტუტი. გათვალისწინებულია ადმინისტრაციული მიყვანა, როგორც ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის ზომა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს. თავისუფლების შეზღუდვა უნდა დასრულდეს ადმინისტრაციული მიყვანის საფუძვლების აღმოფხვრისთანავე;

- მსუბუქი კატეგორიის დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა არ გამოიყენება, გარდა კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საია იყო სამთავრობო კომისიის წევრი და, შესაბამისად, მონაწილეობდა რეფორმის შემუშავების მიზნით წარმოებულ დისკუსიებსა და განხილვებში. ორგანიზაცია არსებითად მხარს უჭერს მთავრობის სამთავრობო კომისიის მიდგომას, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმის უალტერნატივო გზას და მიიჩნევს, რომ რეფორმის პროექტი, ძირითადად, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი

2019 წლის 16 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმაზე მუშაობის დაწყება დააანონსა, რაც 2019 წლის ივლისამდე კანონპროექტის მომზადებით უნდა დასრულებულიყო. როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წლის ივნისში დაასრულა პროექტზე მუშაობა, თუმცა მისი წარდგენა დაინტერესებული პირებისთვის ამ დრომდე არ მომხდარა. ამდენად, უცნობია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის როგორი მოდელია შემოთავაზებული შსს-ს მიერ შემუშავებული კანონპროექტით.

სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

რეფორმის მოთხოვნით ადვოკატირების კამპანიის პარალელურად, საიამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არაკონსტიტუციური გამოყენების შესაცვლელად საკონსტიტუციო სასამართლოში სტრატეგიული სამართალწარმოება 2016 წლიდან დაიწყო. 2021 წლის თებერვლის მდგომარეობით, ორგანიზაციას საკონსტიტუციო სასამართლოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცალკეულ მუხლებზე 12 სარჩელი აქვს წარდგენილი. მათგან 7 საქმე წარმატებით დასრულდა, ხოლო 5 სარჩელი განხილვის ეტაპზეა.

რა შეცვალა საიას სტრატეგიულმა სამართალწარმოებამ

საიას სტრატეგიულმა სამართალწარმოებამ კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური ხარვეზები. საკონსტიტუციო სასამართლოში მოგებულმა საქმეებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ადამიანის უფლებებით დაცული სფეროები. მათ შორის, გაუმჯობესდა სამართალდამრღვევად მიჩნეული პირის საპროცესო უფლებები - შესაძლებელი გახდა სააპელაციო სასამართლოში ყველა იმ სამართალდარღვევაზე დავა, რომელიც სახდელის სახედ პატიმრობას ითვალისწინებს, ასევე, განისაზღვრა სააპელაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის მკაფიო კრიტერიუმები. სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების 10-დღიანი ვადის ათვლა დადგინდა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან.

გაუქმდა ადმინისტრაციული დაკავების დისკრიმინაციული, 48-საათიანი მაქსიმალური ვადა. ასევე, განიმარტა, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული წესით დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება უკანონოა და დაკავების საფუძვლის ამოწურვისთანავე, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, მიუხედავად იმისა, გასულია თუ არა დაკავების მაქსიმალური ვადა. სათანადო ლიცენზიის გარეშე წიაღისეულით სარგებლობისთვის სამართალდამრღვევად მიჩნეულ პირს სამართალდარღვევის იარაღი უპირობოდ აღარ ჩამოერთმევა და საქმის განმხილველ მოსამართლეს მიეცა შესაძლებლობა, გაითვალისწინოს განსხვავებული ფაქტობრივი მოცემულობა, სამართალდამრღვევი

სუბიექტის პიროვნების მახასიათებლები თუ სხვა რელევანტური გარემოებები და მოახდინოს ადმინისტრაციული სანქციის ინდივიდუალიზაცია. დასაშვები გახდა კერძო საკუთრების ფასადზე მესაკუთრის მიერ, ან მისი ნებართვით, ბანერების, ლოზუნგებისა და პლაკატების დროებითი განთავსება სპონტანური აქციის მსვლელობისას.

აღსანიშნავია, რომ საიას საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, პირველად მოხდა მძიმე სამართალდარღვევების სხვა გადაცდომებისგან გამიჯვნა. მძიმე სამართალდარღვევებად საკონსტიტუციო სასამართლომ იმგვარი გადაცდომები მიიჩნია, რომლებისთვისაც სანქციის სახით პატიმრობაა გათვალისწინებული. თუმცა, არ გამორიცხა, რომ, ადმინისტრაციული პატიმრობის მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სხვა სანქციაც აღწევდეს უფლების შეზღუდვის ინტენსივობის იმ ხარისხს, რომელიც საკმარისია შემადგენლობის მძიმე სამართალდარღვევად მისაჩნევად. საკონსტიტუციო სასამართლოს პროგრესული გადაწყვეტილება იძლევა საფუძველს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმა სწორედ ამ პრინციპს დაეფუძნოს და მძიმე სამართალდარღვევებისთვის სათანადო საპროცესო გარანტიები დადგინდეს.

მოგებული საქმეები:

საქმე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2018 წელი)

არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმები, რომელთა მიხედვით, სახდელის დადების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ზოგიერთი დადგენილება არ საჩივრდებოდა სააპელაციო სასამართლოში.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის მოგებამ გამოიწვია საკანონმდებლო ცვლილებები. შედეგად, გაფართოვდა სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა იმ სამართალდარღვევებზე, რომლებიც სახდელის სახედ პატიმრობას ითვალისწინებს, ასევე, განისაზღვრა სააპელაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის მკაფიო კრიტერიუმები.

საქმე „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2019 წელი)

არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმა, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე დადგენილების გასაჩივრების ვადა აითვლებოდა არა სამართალდამრღვევად ცნობილი პირისთვის მისი ჩაბარებიდან, არამედ სასამართლოს სხდომაზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის მოგებამ გამოიწვია საკანონმდებლო ცვლილებები. შედეგად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილების გასაჩივრების 10 დღიანი ვადა ახლა უკვე აითვლება დადგენილების ჩაბარებიდან და არა - მისი გამოტანიდან.

საქმე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2019 წელი)

არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, დასჯადი იყო თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ კერძო საკუთრების ფასადზე მესაკუთრის მიერ, ან მისი ნებართვით, ბანერების, ლოზუნგებისა და პლაკატების დროებითი განთავსება სპონტანური აქციის მსვლელობისას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო თვითაღსრულებადი და მას დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები არ დასჭირვებია.

საქმე „გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2020 წელი)

არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150[2]-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, დასჯადი იყო თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში კერძო საკუთრების ფასადზე მესაკუთრის მიერ, ან მისი ნებართვით, ბანერების, ლოზუნგებისა და პლაკატების დროებითი განთავსება სპონტანური აქციის მსვლელობისას.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საიას არგუმენტები და მიიჩნია, რომ სადავო ნორმას გააჩნდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის (საქმე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) არსებითად იდენტური შინაარსი. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა, დამძლევი ნორმის ინსტიტუტის გამოყენებით, ძალადაკარგულად გამოაცხადა საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

საქმე „შპს ,,ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2020 წელი)

ამ საქმეში საია დავობდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლის (57[1]-ე მუხლი) ნორმატიულ შინაარსზე, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებდა სამართალდარღვევის იარაღის უპირობო, სავალდებულო კონფისკაციას.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული მუხლი სამართალდარღვევის საქმის განმხილველ მოსამართლეს არ აძლევდა შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად განესაზღვრა სამართალდარღვევის იარაღის ჩამორთმევის აუცილებლობა. მოსამართლეს არ ჰქონდა

უფლება, გაეთვალისწინებინა განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებები, სამართალდამრღვევი სუბიექტის პიროვნების მახასიათებლები თუ სხვა რელევანტური გარემოებები და მოეხდინა ადმინისტრაციული სანქციის ინდივიდუალიზაცია.

საქმე „გიორგი გოცირიძე და ვასილ ჟიჟიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2020 წელი)

ეს საქმე საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო, თუმცა, განჩინებაში მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რითაც მიღწეულია სარჩელის მიზნები. სასამართლოს განმარტებით, სათანადო დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული წესით დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება უკანონოა. შესაბამისად, დაკავების საფუძვლის ამოწურვისთანავე, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, მიუხედავად იმისა, გასულია თუ არა დაკავების მაქსიმალური ვადა.[2]

საია იმედოვნებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება ხელს შეუწყობს თვითნებური დაკავების პრაქტიკის აღმოფხვრას და ადმინისტრაციული დაკავება აღარ იქნება გამოყენებული დაუსაბუთებლად, მაქსიმალური ვადით.

საქმე „ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2020 წელი)

ამ საქმეში საია ასაჩივრებდა სამუშაო და არასამუშაო დროს ადმინისტრაციული დაკავების განსხვავებულ ვადებს. ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა 12 საათს შეადგენს. თუმცა, თუ ის არასამუშაო დროს ემთხვეოდა, კანონმდებლობა ითვალისწინებდა 12-ის ნაცვლად 48-საათიანი დაკავების შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო 48 საათით პირის ადმინისტრაციული დაკავების შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადაავადა 2021 წლის პირველ ივნისამდე, რათა საქართველოს პარლამენტმა შეძლოს საკითხის დარეგულირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

[2] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი განსაზღვრავს დაკავების ვადებს. კერძოდ, დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს, ხოლო თუ ადმინისტრაციული დაკავების ვადა ემთხვევა არასამუშაო დროს, პირი შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის განხილვამდე, რა შემთხვევაშიც პირის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

რას შეცვლის იმ საქმეების დაკმაყოფილება, რომელთა განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში ამ დროისთვის არ არის დასრულებული

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის შესაცვლელად დაწყებული სტრატეგიული სამართალწარმოება წარმატებულია, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პრობლემური მუხლების ეტაპობრივ გაუქმებას იწვევს. სარჩელების დაკმაყოფილების დინამიკა აჩენს განხილვის ეტაპზე არსებული საქმეების წარმატებით დასრულების ვარაუდს.

განსახილველი საქმეების დაკმაყოფილებით, საია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმის შესაძლებლობას ხედავს. ორგანიზაცია ასაჩივრებს სისხლისსამართლებრივი ბუნების სამართალდარღვევების განხილვისას სათანადო საპროცესო გარანტიების არარსებობას. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამართალდარღვევის საქმეების განხილვისას არასწორად ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება, კოდექსი არ მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოს მიერ პატიმრობის გამოყენების საფუძვლების მტკიცებას, არ აღიარებს უდანაშაულობის პრეზუმფციას და გადაწყვეტილებები არ მიიღება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგენილი სარჩელების დაკმაყოფილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს გამოაცლის არსებულ პროცედურულ დასაყრდენს და მისი ამ ფორმით მოქმედება დასრულდება. შედეგად, შეიქმნება საქართველოს პარლამენტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმაზე მუშაობის გარდაუვალი წინაპირობები.

მიმდინარე საქმეები:

საქმე „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ამ საქმეში საია დავობს, რომ არსებული კოდექსის პირობებში, თავისი შინაარსით სისხლისსამართლებრივი ბუნების სამართალდარღვევების განხილვა და გადაწყვეტა სათანადო საპროცესო გარანტიების გარეშე მიმდინარეობს. მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობის და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლებით გათვალისწინებული სახდელი არის მძიმე და უთანაბრდება სისხლისსამართლებრივ სასჯელს, თუმცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას პირს ნაკლებ საპროცესო გარანტიებზე მიუწვდება ხელი. გასაჩივრებული ნორმა მოსამართლეს არ ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ გამოტანილი

დადგენილება, როგორც წესი, არ შეიცავს შესაბამის არგუმენტაციას, თუ რატომ იზიარებს სასამართლო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს და უარყოფს სხვას.

2019 წლის 17 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, გასაჩივრებული მუხლი არღვევს თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ასევე, ეწინააღმდეგება თუ არა ის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 (არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს) და მე-7 (დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ) პუნქტებს.

სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმას.

საქმე „კონსტანტინე ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ეს საქმე ასევე შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში არსებული მტკიცების ტვირთის გადანაწილებას. საია საკონსტიტუციო სარჩელით ითხოვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობას. ეს ნორმები მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს არეგულირებს.[2] თუმცა, იმის გამო, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ აწესრიგებს, თუ ვის ეკისრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცების ტვირთი, საერთო სასამართლოები გასაჩივრებულ ნორმებს იყენებენ.

საიას აზრით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებში გასაჩივრებული მუხლების გამოყენება არაკონსტიტუციურია, რადგან ის პასუხისგებაში მიცემულ პირს ავალდებულებს, წარადგინოს მტკიცებულებები და დაამტკიცოს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მას არ ჩაუდენია. სამართალდარღვევის საქმეებში მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტს, რომლის თანახმად, „არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.“

2020 წლის 12 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო და ზურაბ გირჩის ჯაფარიძის საქმესთან გააერთიანა. სარჩელის დაკმაყოფილება გამოიწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმას.

საქმე „ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ამ საქმეში საია ასაჩივრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) იმ ნორმატიულ შინაარსს, რომლის მიხედვითაც, სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლეები არ ამოწმებენ პოლიციელის მოთხოვნის კანონიერების საკითხს. საია მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის იმგვარი განმარტება, როგორც ეს სასამართლო პრაქტიკით ხდება, არღვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიზღუდება პოლიციელთა თვითნებური ქცევა და გაიზრდება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებების დაცვის გარანტიები.

საქმე „კონსტანტინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ამ საქმეში საია ასაჩივრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის (წვრილმანი ხულიგნობა) იმგვარ ნორმატიულ შინაარსს, რომლის მიხედვითაც, პროფანაციულ სიტყვას არ შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება. კონტექსტის განურჩევლად, ის, ბლანკეტურად, მიჩნეულია უხამსობად, ხოლო მისი წარმოთქმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იწვევს სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში წარმოთქმული უცენზურო გამონათქვამების გამო, წვრილმანი ხულიგნობის მუხლით, პირის ადმინისტრაციული წესით დასჯა.

საქმე „ბონდო თევდორაძე, ანზორ გუბაევი და ხათუნა ბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ამ საქმეში საია ასაჩივრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77[1]-ე მუხლის პირველ ნაწილს შეკრების თავისუფლებასთან მიმართებით. გასაჩივრებული მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სანქციას დასაშვებ ნორმაზე გადამეტებული ხმაურისთვის. საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესაბამისად, იკრძალება შეკრების ჩატარება საჯარო პირზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, რასაც თან ახლავს აღნიშნული პირისთვის დისკომფორტის შექმნა და შეწუხება. ამასთან, ამგვარი შეკრება აკრძალულია საჯარო სივრცეში, რომელიც მდებარეობს საჯარო პირის კერძო საკუთრებასა ან

საცხოვრებელ სახლთან. საიას არაკონსტიტუციურად მიაჩნია გასაჩივრებული მუხლის ეს ნორმატიული შინაარსი. ორგანიზაციის მოსაზრებით, საჯარო პირებს (პოლიტიკოსები, ცნობილი პირები), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ, აქვთ თმენის ვალდებულება მათ პირად ცხოვრებაში ჩარევისას. ამასთან, შეკრების ჩატარებისას საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიის შერჩევის მიზანს სწორედ საჯარო პირის, როგორც პროტესტის ან სოლიდარობის ადრესატის, კერძო სფეროსთან მაქსიმალური მიახლოება წარმოადგენს, რა დროსაც იზრდება შანსი, რომ საზოგადოებრივ პროტესტს მოჰყვეს რეალური შედეგი. ამდენად, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს უფლება, მსგავსი ფორმით გამოხატოს საკუთარი უკმაყოფილება საჯარო-პოლიტიკური პირების საქმიანობის მიმართ.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეკრების ამგვარი ფორმა აღარ ჩაითვლება სამართალდარღვევად და არ გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას.